



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 156

2016 წლის 02 აგვისტო

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი
ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და
დოქტორანტებისთვის გამოცხადების შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იულიხის სამეცნიერო ცენტრს
შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის იულიხ-საქართველოს ერთობლივად
დაფინანსებული პროგრამის შესახებ შეთანხმებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული
პირის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28
ივლისის N62/ზ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“
ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ხატია ანანიაშვილის სამსახურებრივი ბარათის
(N927729, 01.08.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის
იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა
მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის
იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის
მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის
შესაბამისად;
3. ამ ბრძანების დანართ N 2-ად განისაზღვროს შეთანხმება სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულიხის სამეცნიერო კვლევით ცენტრს შორის
დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის იულიხ-საქართველოს ერთობლივად
დაფინანსებული პროგრამის შესახებ;
4. დამტკიცდეს განაცხადის ფორმა ქართულ და ინგლისურ ენებზე ამ ბრძანების დანართ
N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV)-ს ფორმა ქართულ და ინგლისურ ამ ბრძანების დანართ N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ბიუჯეტის ფორმა მაგისტრანტებისთვის ქართულ და ინგლისურ ენებზე ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ბიუჯეტის ფორმა ქართულ და ინგლისურ დოქტორანტებისთვის ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
10. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მარინე ჩიტაშვილი

